

მწყმისი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

ჰოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიხარულ ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მამურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განვისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 5

1883—1901

15 მარტი.

ქუთაისის საკრებულო ტაძარში ჰანაშვილის გადახდა განსვენებულის რაფიელ ერისთავის სულის მოსახსენებლად.

იშვიათი არის ისეთი შემთხვევა, როდესაც საზოგადოებაში თვალსაჩინო წევრის დაკარგვა ყველასათვის ერთნაირად სამწუხარო და საგლოვი რჩება. ჩვეულებრივად მხოლოდ რომელიმე ნაწილი ან რომელიმე წოდება საზოგადოებისა უფრო სწუხს და ნაკავს და საერთოდ-კი ეს ყველასათვის ერთნაირი საგრძნობელი არ გამოდის. ეს ითქმის იმგვარ მოღვაწეებზე, რომელთა მუშაობა და ღვაწლი მხოლოდ ერთი რომელიმე დარგით არის შეზღუდული. მაგრამ როდესაც ესევე მუშაობა იმდენად მაღალია

და ღვაწლიც იმდენად თვალ-საჩინო, რომ მთელი ერის არსებითს მხარეს შეეხება—მაშინ ეს საყოველთაო მოვლენად ხდება და მონაწილეობასაც ამ გვარი ადამიანისადმი რაიმე გრძნობის გამომჟღავნებაში მთელი ერის ყოველგვარი ნაწილი იღებს, წოდებისა და ვინაობის განურჩევლად. ამისთანა პირთ ეკუთვნოდა სწორედ განსვენებული თ-დი რაფიელ ერისთავიც. ყოველს ადგილს, მთელს საქართველოში ყველა წოდების განურჩევლად ერთნაირად სცეს პატივი და ერთნაირად ჰგლოვობენ მის დაკარგვას.

როგორც სხვაგან საქართველოს ქალაქებსა და დაბებში, ისე ქ. ქუთაისში დიდ-ძალი ხალხი შეიკრიბა საკრებულო ტაძარში 25 თებერვალს. წირვა განსვენებულისათვის და ჰანაშვილი შეასრულა მათმა მეთუფებამ, ყოველად სამღვდელო ლეონიძემა სამღვდელ-



ლოების თანამსახურებით. პანაშვიდის წინ მათმა მეუფებამ წარმოსთქვა მგრძობიარე სიტყვა, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე. მოგვყავს მიახლოებით მათი მეუფების სიტყვა აქვე.

მკრთალსა და მკირედ მათბობს ქართველი ერის მზეს კიდევ მოსწყდა სხვებთან შედარებით ერთი მეტად მათბობი და სინათლის უხვად მომფენი სხივი. მნათობებით ღარიბი ჩვენი ერის ცა კვალად ჩაბნელდა საუკეთესო ვარსკვლავის დაშრეტით. უკვე გაჭრილია ბნელი და ცივი სამარე იმ რჩეულ მამულის შვილის სხეულისათვის, ვისაც სამშობლო „ტაძრად“ მიაჩნდა და მთელი თავისი სიცოცხლე მსხვერპლად შესწირა ამ ტაძრის ერთგულ სამსახურს. დღეს ქართველობა სამუდამოდ ეთხოვება იმ ნათელმოსილ კაცს, რომელმაც ხელის გულივით გადაგვიშალა მაშვრალთა და ტვირთ-მძიმეთა სული, მართლად გვითხრა, გვაგრძობინა და დაგვანახვა, რაზედ დარდობს ჩვენი „მკირე ძმა“, რა აწუხებს და აღონებს საბრალო გლეხს. დღეიდგან ველარ გავიგონებთ იმ დიადი მოძღვრის საამურ ხმას, რომელმაც წინასწარმეტყველებრივის გაბედულობით ენაწყლიანად ჰლაღადებდა: «არ გავსცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეხედა, არ გავსცვლი მე ჩემს სამშობლოს, სხვა ქვეყნის სამოთხეზედა»-ო. დღეიდგან უნდა მიწა გაუხდეს «საწოლ-სახურავად» იმ დაუფიწყარს ქართველს, რომელსაც განუშორებელ სასთუმლად ახლდა სამშობლოს საღმრთო სიყვარული, შექვიდილ-შემავრებული ხალასი ოქროს სიტყვებით: „სამშობლო, დედის ძუძუთი, არ გაიცვლებს სხვაზედა, როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“-ო... მიდიან, მიეშურებიან, ერთი მეორეზედ გვეთხოვებიან, ყოველ დღე გვაკლდეებიან საუკეთესო მამულის შვილები, ჩვენი მოძღვრები, მამები და მასწავლებლები; მიდიან რაღაც დარდით და მწუხარებით აღვსილნი, გვტოვებენ ობლად სამდურავით და საყვედურიით! სწორედ რომ გვემართლებიან საყვედურსაც და სამდურავსაც! ამ სამშობლო ქვეყნის ერთგულმა შვილებმა თავიანთი ცხოვრება შეალიეს იმ ერთადღერტს აზრს, რომ შეეგნებინათ ჩვენთვის განუსაზღვრელი მნიშვნელობა დედა-ენისა და, თუ კი არ ვიქმნებოდით განგებ მოწადინებულნი ჩვენი ხსენების აღგვისა ქვეყნიერობიდგან, მეტის ყურადღებით, მეტის მხნე-

ობით, მეტის ერთგულებითა და ხალისეთ-გვეზრუნა ამ ენის შესწავლა-შეთვისებისათვის, მისი განვითარება-შეგნებისათვის. ხოლო ჩვენ, ნაცვლად ამ მაღალი მოძღვრების გაგონებისა, ნაცვლად იმისა, რომ დავადგეთ აღნიშნულს ჩვენი კეთილდღეობის უცდომელ გზას, აღგვიშენებია ჩვენსა და ჩვენ მოძღვრათა შორის გაუდნობელი ყინულის შუა კედელი, მეტად მაგარი ურდულით ჩაგვიკეტია გულის კარები, სრულებით ამოგვიქოლავს და ყრუდ ამოგვიშენებია სმენის სარკმელი, რა არის, არ შევსცდეთ, არ შემოგვეპარნენ რამენაირად მათი (ქართველი მწერლების) აზრები და არ მოდგან ფეხი ჩვენს გულშიო! სიბრთხილე არ დარჩა შეუდეგოდ: იქამდე მოკლებულნი ვართ დედა-ენის ზედმიწევნით შეგნების ხალისს, იმ ზომამდე დაშორებულნი ვართ მშობლურ მწერლობას, რომ დღეს შესაძლო გახდა აღძვრა გულსაკლავის და საგმინავი კითხვისა:— მალე მოისპობა. თუ კიდევ ილოლიალებს რამოდენიმე ხანს ქართული მწიგნობრობაო!.. აი, სწორედ ამ გარემოებამ, ამ დაშორებამ და გულის აცრუებამ დედა-ენაზედ დააკენსა ღვთივ-განსვენებული რაფიელი შემდეგის, მეტად საგულისხმო, სიტყვებით: „ძამიავ, მისთვის მიწუხს მე გულა, რომ აღარ მისმენთ, აღარ გაქვსთ სული“.

კმარა ურჩობა! დროა უსმინოთ პატროსნებით აღვსილს მგოსანს, დროა დავემოწაფნეთ მას დიდიან-პატარიანად და, მიუხედავად წოდება-მდგომარეობისა, ყველამ დავიმშვენოთ ოჯახი მისის კალმის ნაწარმოებით.

ახლად გარდაცვალებული რაფიელი იყო ცნობილი მტკიცე და შეგნებული სარწმუნოებით. ამისთვის დღეს იმის სულს ისე ვერაფრით ვერ გავახარებთ, როგორც მხურვალე და წრფელი ლოცვის აღვლენით ღვთისადმი, რათა შეენდნეს მას ყოველნი შეცოდებანი მისნი. აღვასრულოთ, მსმენელნო, საღმრთო სურვილი სასიქადულო თანამოძმისა, შვილებრივ შეუვრდეთ და სასოებით შევევედროთ იესო ტკბილსა: განუსვენე, მაცხოვარ, ახლად გარდაცვალებულსა მოწასა შენსა თავადს რაფიელს ადგილსა ნათლისასა, სადა არა არს მწუხარება და სულთქმა, სადაცა ჰუარავს ნათელი პირისა შენისა, მიაგენ მას მდიდარნი და ზეცისა მადლნი შენნი, მიანიქენ მას ქვეყანისათა წილ ზეცისათანი, საწუთროის წილ



საუკუნონი და განხრწნაღთა წილ უხრწნელნი! ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ამ სიტყვამ მსმენელებზე, მიტომ, რომ მათი მეუფება მკაფიოთ და გამოცხადებით შეეხო ისეთ კითხვებს, რომელნიც ყოველი შეგნებული პირისათვის მეტად საგულსხმაა. ვისაც ესევე გრძნობა უღვივის გულში, მისთვის ამის გაგონება მეტად სასიამოვნოა და ვინც ამ ჭეშმარიტების შეგნებას ჯერაც დაშორებულია, მისთვის-კი ჭკუის-მასწავლებელი უნდა გამოდიოდეს ამგვარი სიტყვის გაგონება. და რადგანაც ყველგან და ყველასაგან ჭეშმარიტებად არის აღიარებული დედა-ენის ცოდნის აუცილებლობა, რომელიც არის ნამდვილი უტყუარი და ერთად-ერთი ფუძე ადამიანის რიგიანი აღზრდისა და განვითარებისათვის. ვინც გადაუხვევს ამ ჭეშმარიტებას ნებით ანუ უნებლიედ, ყველას ემჩნევა აუცილებელი ცუდი შედეგი, რის მაგალითებსაც უხვად გვაძლევს თანამედროვე კაცობრიობის ისტორია. მაგრამ, სამწუხაროდ, მთელს დედა-მიწაზე თითქმის ყველა ხალხთაგან ჭეშმარიტებად აღიარებული და სავალდებულოდ შემოდებული, მხოლოდ ჩვენ, ქართველებს, დაგვრჩენია შეუმცნებელი და შეუთვისებელი.

მათი მეუფების სიტყვა მრავალმნიშვნელოვანია და რიგია, ყოველი ზემო-მოყვანილი სიტყვები ღრმად ჩაინერგონ გულში ყველამ თავისა და საზოგადოების საკეთილ-დღეოდ.

ბევრი ვითომ გულაცრუებით უყურებს დედა-ენის რიგიანი ცოდნის საჭიროებას და არ სთვლის ამას უსაჭიროეს თვისებათა შორის. მაგრამ ამგვარი აზრი მეტად უმართლოა და შემცდარი. ეს პირველი შემთხვევა არ არის, რომ საზოგადო მოღვაწის დაკარგვას ვგლოვობთ და ამ ბოლო ხანებში ვინც კი გაგვიხდა საგლოვად—ყველანი მითი იყვნენ ძვირფასნი და მომავლისათვისაც დარჩებიან ძვირფას-მოსაგონარად, რომ ნიადაგი დედა-ენის ღრმა ცოდნისა და ამით საკუთარი ერის ღრმა თანაგრძნობისა თავიდგანვე საფუძვლად ედო მათ შრომა მოღვაწეობას. ამით გაუწიეს მათ დაუვიწყარი

სამსახური თავის ერს, რომ სხვა ღირსებასთან ერთად დედა-ენის ღრმა ცოდნაც ჰქონდათ—ურომლისოდაც იგინი ვერ ისახელებდნენ თავს საზოგადო მოღვაწეობით. მათი ხმა ერის გულს ვერ ჩასწადებოდა და მათი მუშაობაც მის საკეთილდღეოდ ვერ წარიმართებოდა. ასეა ყველგან და ასე იქნება ჩვენშიაც, ვინც გარდახტება ამ კანონს, იგი ვერ შესძლებს, ვერ დაიმსახურებს ერთობლივ პატივისცემას და კეთილ ხსენებას, როგორც სახელმწიფოსაგან ისე თავის მემამულეთა და მოძმეთაგან.



იმიერთის ეპარქიის სამღვდლოების დეკრეტების კრება ქუთაისში 15—22 დეკემბერს 1900 წ.

გაგრძელება *)

სასულიერო ოთხ-კლასიანი სასწავლებლის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის კიდევ ითხოვებოდა იმ თოთხმეტი ათას მანეთზე მეტი, რომელიც ყოველ წლობით შედის იმერეთის ეპარქიის სამღვდლოებისაგან. სხვა წყარო ფულის შემოსავლისა, როგორც წინეთ მოგახსენეთ, აღარა არის რა. მათი მეუფების წინადადებათა შორის ამისთანა წყაროდ ნაწვენები იყო სამრევლოთა ახალი სიების შედგენა 1900 წლის აღსარებითი სიებისამებრ და თითო კომლზე 25 კ. გაწერა ძველებურად.

ამ კითხვის შესახებ ბევრ დებუტატს უნდოდა თავი გამოეჩინა მჭევრ-მეტყველობით, მაგრამ უბრალოდ დრო დაიკარგა. ზოგს უნდოდა, რომ ეს გადასახადი სხვა რიგად შეეცვალა, მაგრამ ყოველ გვარი ლაპარაკი ამაო შეიქნა. ბოლოს, როცა დარწმუნდნენ, რომ სხვა გვარად ამ მეტი ფულის შემოსავლის წყაროს გამონახვა არ შეიძლებოდა, ერთ ხმად გადასწყვიტეს: მოხდეს ხელახალი სიების შედგენა 1900 წლის აღსარებითი სიებით და

*) იხ. „მწყემსი“ № 4. 1901 წ.

ამ სიებისამებრ იქნეს წარმოდგენილი თითო კომლზე ხუთ-ხუთი შაური ძველის წესითვე.

ამ კითხვის გადაწყვეტის დროს აღმოჩნდა, რომ კომლზე ფულები იკრიბება სამღვდლოებში სულ სხვა-და-სხვა ნაირად და არა ისე, როგორც გადაწყვეტილია. აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი ბლალოჩინი ამ ფულების შეკრების დროს ხელმძღვანელობს თავის აზრით და არა დამტკიცებული ჟურნალით. ამასთან ზოგიერთი ბლალოჩინები გამოაუცდებლობით, თუ გაუგებლობით, მრევლის მღვდლებს დიდ უსიამოვნებასაც აყენებდნენ მრევლთაგან, როდესაც სტაროსტას აძლევდნენ წერილებს: „მიეცით სანთლის სარგებელი მღვდლებს სკოლის ფულზე დასახმარებლად“.

ერთი სიტყვით, ისეთი რამეები აღმოჩნდა ამ კითხვის შესახებ კრებაზე, რომ საჭიროდ მიგვაჩნია ყველა საქვეო კითხვები როგორც სამღვდლოებას, ისე ბლალოჩინებსაც განემატოს, რომ შემდეგში მაინც ასცდნენ იმ შეცდომას, რომელიც დღემდის მოსდიოდათ. საჭიროა, ჩვენის აზრით, რომ ამ 25 კ. თითველ კომლზე შემოსატანი ფულის მოკლე ისტორია იცოდეს ყველამ. აი ეს ისტორია: 1872 წელს ერთ სხდომაზე იმერეთის ეპარქიის სამღვდლოების კრებამ გარდაწყვიტა, რომ რიცხვისამებრ მრევლთა კომლისა თითველი ეკკლესიიდან წარდგენილიყო ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში ოც-და-ხუთი კაპიკი წმინდა სანთლის მოგებიდან. მაგალითებრ მრევლში ირიცხებოდა 100 კომლი, ამ მრევლის მღვდელი ვალდებული იყო წარედგინა სანთლის მოგებიდან 25 მანეთი. თუ სანთლის ფული არ იქნებოდა, მღვდელს უნდა შეეტანა თავისი ფული. ეს ხუთი შაური, — კომლზე შემოსატანი ფული 13000 მანეთამდე დგებოდა სასწავლებლისთვის ყველა ეს ფულები არ იყო საჭირო, მაგრამ სამღვდლოების გარდაწყვეტილებით რაც ვადარჩებოდა სასწავლებლის ხარჯს, ქუთაისში სემინარიის დასაარსებელი თანხის შესადგენად უნდა გადადებულიყო — იმერეთის სამღვდლოების სახელზე. ყოვლად სამღვდლო გაბრიელმა დაამტკიცა ეს ჟურნალი, მაგრამ იმ პირობით, რომ სამღვდლოებას ერთი ნახევარი სანთლის მოგებიდან მისცემოდა ამ გადასახადის შესატანად. გაიარა ორმა-სამმა წელიწადმა. აღმოჩნდა კრებაზე, რომ ზოგ ადგილას თურმე სანთლის ნახევარი შემოსავალი წაიღო მღვდელმა,

მთლად შეიტანა ეს გადასახადი და თვითონაც დარჩა კიდევ!.. მეორე ადგილას კი სულ სამღვდლოებს იხდიდა თავის ჯიბიდან, რადგან სანთლის მოგება სულ არ იყო ეკკლესიაში.

მოხდა კრება და კრებაზე გადაწყდა ასე: მრევლის რიცხვზე კომლის გადასახადი უნდა გაიყოს სამ წილად, ორი წილი ამ გადასახადისა უნდა დაიფაროს სანთლის მოგებიდან, თუ არის და ერთი წილი კი თავის ჯიბის ფული უნდა მისცეს კრებულმა. ეს წესი არის დამტკიცებული და მოდის სისრულეში დღემდის. ეხლა კიდევ აღმოჩნდნენ დებუტატები, რომელთაც სთქვს, რომ ჩვენი ბლალოჩინი სულ სხვანაირად იქცევა ამ ფულების შეკრების საქმეში; ორ წილს კი არა, დიდ მოწყალეზად გვითვლის, თუ ნახევარს გვახმარსო. ეს კითხვა, როგორც დღემდის იყო გარდაწყვეტილი, ისე დარჩა დღესაც და არც ერთ ბლალოჩინს არ შეუძლია დამტკიცებული ჟურნალი სხვანაირად და თავის სურვილისამებრ მოიყვანოს სისრულეში...

8—9 წლის განმავლობაში სამღვდლოებისაგან შეტანილი ფულები, რომელიც სასწავლებლის საჭიროებას ვადარჩა 26 ათას მანეთამდე შესდგა. ეს სემინარიის ფონდის ფული იყო, მაგრამ, წარმოიდგინეთ, სასწ. ზედამხედველები თავიანთ «ეკონომიის» ნაყოფად რაცხდნენ ამ ფულს და ისეთ რამეებზედ ხარჯავდნენ, რომლებზედაც მათი დახარჯვა არ შეიძლებოდა. ამ ფულებიდან ძლივსა 12500 მანეთი შერჩათ და გადასცეს ქუთ. სემინარიას, მაგრამ სრულად არის დღეს ეს ფულები თუ არა, ისიც არ ვიცით.

კვირა დღეს სამღვდლოების დებუტატების სხდომა არ ყოფილა. მათმა მეუფებამ ყოვლად სამღვდლო ლეონიძემა ინება წირვა კათედრის ტახარში. ამ დღეს მწირველი ბრძანდებოდა მათ მეუფებასთან თორმეტი სამღვდლო დებუტატი, სახელდობრ: დეკ. დ. ლამბაშიძე, ბლალოჩინები: აბესალომ ტყემალაძე, იოსებ წერეთელი, ტ. კაპანაძე, ლავ. დევიძე, ს. მჭედლიძე, კ. ანთაძე, ვ. ამბრაშიშვილი, მღ. მჭედლიძე და სხვ.

წირვა ქართულად შესრულდა და ქართულადვე გალობდნენ ბ. კ. მაღრაძის ლოტბარობით. გალობდნენ ფილიმონ ქორაძისაგან გადაღებული ნოტებით და კარბელაშვილის კილოზედაც იგალობეს ორი-ოღე საგალობელი. ჩინებულად გალობდნენ.



ჩემი სასისხარელო და სამწესართო შთაბეჭდვლებანი ევროპის სასკლძწიფოებში მოგზაურობის დროს.

(გაგრძელება*)



ავსტრიის პავლიონი გამოფენაზე ფრიად მშვენიერი შენობა იყო. პავლიონი იყო აშენებული ბომონის ხუროთ-მოძღვრისაგან. პავლიონში მოთავსებული იყო ავსტრიის ბანკის განყოფილება და ლუდხანა მშვენივრად მოწყობილი. პავლიონის ძირა სართულში იყო მოწყობილი მისაღები ზალა ავსტრიის იმპერატორის ფრანც იოსების ერცღერცოდისა. ამ ზალაში იყო გამოფენილი ავსტრიის საბეჭდავები, ზოგიერთი სააგარაკო ადგილების სურათები და კიდევ ბევრი სხვა რამეები.

ავსტრიის პავლიონიდან წავედით პორტუგალიის პავლიონში. პორტუგალიის პავლიონი ამავე ქუჩის მეორე მხარეზე იყო, ავსტრიის პავლიონის პირდაპირ. ეს ხის პავლიონი ძლიერ გრძელი შენობაა. პავლიონი მაინც და მაინც დიდი შესანიშნავი არ იყო. ამ პავლიონის დათვალიერების შემდეგ ჩვენ მივადექით ბოსნიის და გერცოგოვინის პავლიონებს. ეს პავლიონები ძლიერ ლამაზი შენობებიც იყო და ყველა ნივთები ამ პავლიონებში თქვენ ცხადათ გიმტკიცებდა ბოსნიისა და გერცოგოვინის ხალხის გამჭრიახობას და მამაცობას. ამ პავლიონებში ბევრი რამ ვნახეთ ისეთები, რომლებიც ჩვენებურ ოჯახის ავეჯოულობას და მოწყობილობას ჰგავდა. თითქმის სარტყელში გასარტობი საწერლები პირდაპირ ჩვენი ძველი საწერლებია. აქ პავლიონში თქვენ ნახავდით ერთ ადგილს მეტის-მეტად ძვირფას და მრავალ გვარ ხელით ნაწარმოებ ნივთებს და მეორე ადგილას მიწის მოსავალს, ხილეულობას და სასმელებს. აქვე პავლიონში ხედავდით მდიდრულ მორთულს ბოსნიის და გერცოგოვინის

ოჯახს. პავლიონის ძირა სართულში იყო გამართული რესტორანი, სადაც ბოსნიის მუსიკანტებო იყვნენ და მშვენივრადაც უკრავდენ. ჩვენ რომ მოგვატანეს თვალი, რაღაცა რუსებათ შეგვიცნეს და მაშინვე დაუკრეს „ღმერთო დაიცევ მეფე“. ბოსნიის და გერცოგოვინის პავლიონის პირდაპირ იყო პერუსის პავლიონი სამხრეთ ამერიკის მხარისა. ეს პავლიონიც შენობით მშვენიერი იყო. აქ მდიდარი გამოფენა იყო ყველა მისა, რასაც აძლევს კაცს მიწა და მცენარეულობა. ამასთან ბევრი რამ იყო მინერალეულობაც. პერუელებს პავლიონის შემდეგ ჩვენ მივადექით ვენგრელების პავლიონს. ვენგრელების პავლიონი ათას ნაირი გეგმით იყო ნაკეთები. ეს შენობა ყოველი დროის შენობის გეგმას წარმოუდგენდა მნახველს. გამოფენით მაინც და მაინც დიდი შესანიშნავი არ იყო.

ვენგრელების პავლიონის დათვალიერების შემდეგ ჩვენ ვნახეთ ინგლისის პავლიონი, რომელიც მთლად რკინისაგან იყო გაკეთებული მთელი შენობა. ამ შენობაში იყო გეგმა ქ. ლონდონისა. ამ პავლიონში თქვენ ნახავდით მდიდრულად მორთულ ოთახებს და სასადილოებს. ამ პავლიონში თქვენ წარმოგიდგენდენ ამობურცულ მხატრობას ქ. ლონდონისას, რომელზედაც დაწვრილებით მთელი ქალაქი იყო დახატული და მშვენივრად წარმოდგენილი. აქვე იყო იაპონიის ოთახი, რომელშიც იყო გამოფენილი საუმჯობესო ნაწარმოები ინგლისისა. ამ პავლიონში ერთი კიბით შედიოდი კაცი და მეორეთი გარედ გამოდიოდი. ერთი პავლიონი ამ პავლიონთან განსაკუთრებით უელის პრინცისათვის იყო და გარეშე პირებს შეეძლო მისი დათვალიერება, როცა პრინცი შინ არ იყო ხოლმე.

ბრიტანიის პავლიონის დათვალიერების შემდეგ, დავათვალიერეთ სპარსეთის პავლიონი. ეს პავლიონი იყო აშენებული სპარსეთის სასახლის ხუროთ-მოძღვრისაგან შედგენილი გეგმით და სპარსელების ძველ და დიდ შენობას წარმოადგენდა. ამ პავლიონს ბევრი სვეტები და გუმბათები ჰქონდა. ამ სვეტებს და გუმბათებს გარედან სარკის სხვადასხვა ფერი შუშები ჰქონდა შემოკრული და დღისით მზის შუქისაგან და ღამით ელექტრონის სინათ-

*] იხ. „მწეგმისი“ № 3, 1901 წ.

ლით მშვენიერად ბრწყინავდენ. შიგნივ პავლიონში თქვენ ნახავდით მშვენიერ ხელოვნების ხალიჩებს და ქირმანულ შალეულობას ხორასანიდან დასხვადასხვა ნაწარმოებს, ფირუზით და მარგალიტებით შემკობილს. ამავე პავლიონში თქვენ ნახავდით სხვადასხვა ვარდის შესანიშნავ ზეთს და ამასთან ძველი დროის საომარ იარაღებს.

ამ პავლიონით თავდებოდა პირველი ნახევარი უცხო სახელმწიფოთა სხვა პავლიონებისა და იწყებოდა მოედანი, რომლის შუა გულზე იყო მოწყობილი მესაკრავეთა დასადგომი. დანარჩენ პავლიონების დათვალიერება გადავდეთ მეორე დღისათვის.

მსოფლიო გამოფენის დროს პარიჟში რამდენიმეჯერ მოხდა ხალხთა შორის კრება და ამ კრებათა შორის ერთს კრებაზე განხილულ იქნა სარწმუნოების ისტორია. ზოგი ფიქრობდნენ მოვწოდებინათ „პარლამენტი სარწმუნოებისა“, როგორც მოხდა ჩიკაგოში, ეს განზრახვა არ შესრულდა, მაგრამ საქმემ კი უკეთესად ჩაიარა. ამ კრებაზე მეცნიერულად განიხილეს ბევრი კითხვები სარწმუნოების ისტორიიდან. კრებაზე დაესწრო 340 წევრი და (ქალნი და კაცნი) ევროპის ცხრამეტი სახელმწიფოდამ, აზიის სამი სახელმწიფოდამ, ამერიკის ხუთი სახელმწიფოდამ და აფრიკის ერთი სახელმწიფოდამ; ყველა ეს წევრი იყვნენ სწავლულნი, პროფესორები, მღვდლები, ებრაელთა რავინები, ბუდდის მქადაგებელნი და სხვანი. დღთის-მეტყველების ფაკულტეტის დეკანმა პარიჟში, გამოჩენილმა წარმომადგენელმა „ახალ შოდის დღთის-მეტყველებისამ“ ოგ. საბათიემ (რომელსაც გულ-მოადგინედ თარგმანიან რუსულს ენაზე), წაიკითხა რეფერატი საბიბლიო კრიტიკის ისტორიის შესახებ, ბუდაპეშტელმა პროფესორმა, ილაპარაკა ისლამისა და პარსიზმის შესახებ. მაგრამ ყველაზე საინტერესო იყო რეფერატი 1900 წელში სარწმუნოებათა სტატისტიკურ გამოკვლევათა შესახებ. თანახმად ამ რეფერატისა, ევროპაში ითვლება 390 მილიონი მცხოვრები ქრისტიანე; 7 მილიონამდე არის მაჰმადის აღმსარებელნი, ექვსი მილიონი ებრაელნი და ორი მილიონი კერპთაყვანის მცემელნი. ამერიკაში, რომელიც დღეს თითქმის გაქრისტიანებულია, მცხოვრებნი სარწმუნოების მხრით იყოფიან ორ თანასწორ ნა-

წილად; ერთი ნაწილი აღიარებს რომაულ-კათოლიკეთა ეკლესიას, ხოლო მეორე პროტესტანტებია. აქვე რეფერატის დამწერმა გამოაცხადა თავისი საკუთარი აზრი, რომ ვითომ მართლ-მადიდებელ ეკლესიას ამერიკაში არ ჰყავდეს თანამოზიარე. მან, ალბად, არ უწყის, რომ ჩრდილოეთ ამერიკაში არის მართლ-მადიდებელი ეპარქია! გარეული ტომის ხალხნი, რომელნიც კერპთაყვანის მცემლობასა შინა იმყოფებიან, ირიცხებიან ორ მილიონ სულამდე. ოკეანიაში ითვლება 4 მილიონი ქრისტიანე, ავსტრალიაში და ფილიფეს კუნძულებზე რვა მილიონი; დანარჩენი მცხოვრებნი აღიარებენ ისლამს, ანუ არიან კერპთ-თაყვანის მცემელნი. აფრიკის ჩრდილოეთ ნაწილში მეფობს ისლამი, გარდა ქრისტიანეთა მცირე ნაწილისა; აფრიკის შუა ადგილებშიაც მეფობს ისლამი და კერპთ-თაყვანის მცემლობა, მხოლოდ სამხრეთისკენ ფეხი მოიკიდა ქრისტიანობამ. საზოგადოდ სარწმუნოების სტატისტიკა აფრიკაში ჯერ კიდევ არ არის ხეირიანად გამოკვლეული. ესევე უნდა ვსთქვათ აზიის შესახებ. შეტყობილია ერთის მხრით, რომ ინდოეთში 300 მილიონ მცხოვრებში 217 მილიონი ბრამის თაყვანის მცემელია; აქ ძლიერ მატულობს მაჰმადის აღმსარებელთა რიცხვი, რომელიც 60 მილიონს აღემატება, გარდა ამისა ბუდდისტები იქნებიან 7 მილიონი, სამი მილიონი ქრისტიანე, რომელთა შორის ორი მილიონია კათოლიკენი, და 12 მილიონია კერპთ-თაყვანის მცემელნი. ჩინეთში 390 მილიონ მცხოვრებში მარტო ერთი მილიონია ქრისტიანები (კათოლიკენი არიან 900,000 და პროტესტანტი 100 ათასი) და 21 მილიონი არის მაჰმადიანნი. დანარჩენნი აღიარებენ წინაპართა სარწმუნოებას, ხოლო კონფენციანსტში არის საკუთარი სარწმუნოება იმპერატორისა. მთელს ქვეყანაზე ამ ცამეტი წლის განმავლობაში ქრისტიანეთა რიცხვი 477 მაგიერ ითვლება 555 მილიონი, ებრაელთა რიცხვი 7 მილიონის მაგიერ ავიდა რვა მილიონზე, ისლამის თაყვანის მცემლები, რომელთა რიცხვი 200 მილიონს უწყევს, შესამჩნევად გაძლიერდა. რეფერატის ავტორის ფურნიეს გამოანგარიშებით მთელს დედამიწაზე მცხოვრებთა რიცხვი უწყევს 1,550 მილიონამდე, 1810 წელს კი მთელს დედამიწაზე



მცხოვრებთა რიცხვი იყო არა უმეტეს 680 მილიონისა. ამ დასახელებულ რიცხვში, რასაკვირველია, შეცდომებიც იქნება, მაგრამ ეს ცნობები ძლიერ საინტერესოა, რადგან აქედან ცხადათვტყობილობთ, თუ რა მდგომარეობაშია დღეს კაცობრიობა სულიერის მხრით; ამ სტატისტიკური ცნობებისაგან სჩანს, რომ მთელი კაცობრიობის ერთი მესამედია დღემდე განათლებული ქრისტეს სწავლა-მოდღვრებით, ხოლო დანარჩენი ორი ნაწილი, რომელიც გამოყიდულია ქრისტეს ჯვარცმით, იმყოფება ბნელსა შინა.

(გაგრძელება იქნება).

არიან თუ არა ქართველ-კათოლიკენი?

(ბასუსი ბ. სარუსხანს)

დასასრული *).

თუ გადავთვალიერებთ საშუალო საუკუნოების იმ მწერალთა და მოგზაურთა ნაწერებს ¹⁾

*) იხ. „მწეეში“ № 4 1901 წ.

1) იხ. Reamusio Navigationi et viaggi. იხ. y M. Laurent Peregrinatores Medii oevi იტალიის მოგზაური XIII სუკ. Thietmarus (1217 წ.); Willbrandus, Relation du voyage de Jean du Plano Carpini; Voyage de Fr. Ascelini et ses compagnes vers les Tartares. Voyage de Fr. Guillaume de Rubriquis en Tartarie; Marco Polo, Khurk Haeton და სხვა, რომელნიც მოგვითხრობენ საქართველოზე ცოტა რამეს, მაგრამ სომეხთა შესახებ სრულებით არაფერს არ ამბობენ. აგრეთვე მე-XIV სუკ. E. Rivardi (1309 წ.) Itinerium peregrinationis; Marco Cornaro (1319) Viaggio in Persia. Beato F. Odorico. Viaggio (1318 წ.). Jean de Mandeville,

მე-XVII საუკუნემდე, რომელ მოგზაურთა ნაწერებში მოიპოვება ცნობები საქართველოზე, ჩვენ ამ ნაწერებში ვერსად ვპოვებთ ბ. სარუსხანის აზრის დამამტკიცებელ საბუთებს, ვითომ საქართველოს ქალაქებში სომეხების რიცხვი სჭარბობდა ქართველებისას. პირიქით სრული სიჩუმე ანუ გაკვრით მათ შესახებ ორიოდღე ნათქვამი სიტყვა მოწმობს, რომ საქართველოს ქალაქებში იმ დროს სომეხები ძლიერ მცირედნი იყვნენ. ბ. სარუსხანს მოჰყავს პ. იოსელიანი, რომელიც ამტკიცებს, „რომ მე-XVII საუკუნეში ახალციხის მიდამოებში ცხოვრებდა 50,000 სული სომეხი და ებრაელი“-ო, მაგრამ არ ვიცით, თუ რა წყაროებისაგან შეჰკრიბა ავტორმა ეს რიცხვი და ან რა ნაწილს შეადგენდენ ამ რიცხვისას სომეხები და ებრაელები.

ბ. სარუსხანს, რომელსაც არ სჯერა, რომ ქ. ართვინის სომეხ-გრიგორიანებსა და სომეხ-კათოლიკეთა პირისახესა და ენაში არის განსხვავება, მე უწევნებ რამდენიმე ფაქტს. პირის სახე და მოყვანილობა ქ. ართვინის სომეხ-კათოლიკეთა, რომელნიც ძირითადი მკვიდრნი არიან ქალაქისა,

chavalier anglais. Voyage (1332) Bouldeselle. Voyage (1336 წ.). XV წ.: Nicolo Conti წავიდა ვენეციიდან სზასეთში 1424 წ.. Zeno Dracone 1425 წ. Josapha Barbaro 1436—1455. Lazaro Quirini 1463 r. Andrea Cornaro 1464. Dominico del Caretto 1468, Caterino Zeno. Storia del suo viaggi in Pers. 1472. Jos. Barbaro (მეორე მოგზაურობა) სზასეთში 1473 წ. Ambrosio Contarini 1474. Antonio di Brabante 1474. Bartholomeo Limpardo 1474. Paolo Ognibene 1475. Giovanni Dario 1485. Luca Safrano 1485, Pietro Bembo 1485. გზათ მათ უნდა გავედეთ საქართველოში; ქართველების შესახებ არის ცნობები, სომეხთა შესახებ არაფერია ანუ თითქმის სრულებით არაფერი არ მოიპოვება. მე-XVI საუკუნეში: Constantino Laschiari 1502 წ.; Donato de Leze 1514 წ.; Vinceze Alessandro 1572 წ., Theodoro Balbi 1572—1582 წ., სომეხების შესახებ არაფერს არ ღაზნაკობენ, ხოლო ქართველების ცნობებიდან გვაცნობებენ რამდენიმე სამწუხარო ფაქტებს შავი თამაზის დროისს და სხვ.

არის ქართული, ხომეხ გრიგორიანთა-სომეხური. — სომეხ-კათოლიკენი, მე ვამბობ, არ უარყოფენ, რომ მათი წინაპარნი იყვნენ ქართველები, და მასთან კათოლიკენი. რადგან ბ. სარუხანი ამტკიცებს, რომ არ არის „არც ერთი სომეხი კათოლიკე—ართენელი, რომელიც ამბობდეს, რომ მისი წინაპარნი იყვნენ ქართველ-კათოლიკენია“, ამიტომ მე დავასახელებ ერთ სასულიერო წოდების პირს: ართენის მღვდელი იაკობ ბაგრატიონი არ უარყოფს, რომ იგი ჩამომავლობით ქართველია Sapiientis saf, მაგრამ შემიძლია დავასახელო სხვებიც. რაც შეეხება იმას, რომ ართენის სომეხ-კათოლიკეთა ენაში შერეულია ქართული სიტყვები, აქ მე არ შეუდგები რუსულ „ტრანსკრიპციში“ მოყვანილ მაგალითებს ლუკა ისარლოვის წერილში ქართველ-კათოლიკეთა შესახებ. იქ აღნიშნულ სიტყვების გარდა, მე თვითონ შევკრიბე კიდევ რამდენიმე მაგალითები, რომელთაგან მოვიყვან უფრო მოკლეს: „ხიდი გლუხი გნუმეე“. დაბოლოს, პირის სახე და მოყვანილობა სომეხთა იმდენად განსხვავებულია, რომ ბ. სარუხანი ტყუილად ცდილობს დაამტკიცოს, რომ ამ მხრით არა თუ ართენის, სხვა რომელი ადგილის სომეხებიც გინდათ, არავითარმე განსხვავებულ სახეს არ წარმოგვიდგენენო. ქართველი სისხლის ერთობა სომეხთა სახის ტრანსფორმაციაში აღნიშნული აქვს წერილში პროფესორს დ. ნ. ანუჩიკს სომეხთა ანტროპოლოგიის შესახებ²⁾. საჭიროა, მუდამ გვახსოვდეს, რომ ქართველებმა რაღაც გასაკვირლად თავი ამოჰყვეს არა მარტო სომეხ-კათოლიკეთა შორის, არამედ სომეხ-გრიგორიანებ შორისაც. ქართველების საკმაო რიცხვი სხვა-და-სხვა შემავიწროებელ გარემოებათა გამო ანუ იმიტომ, რომ თავიანთი მღვდლები არ ჰყავდათ, მოინათლა სომხის მღვდლებისაგან და ამ სახით შეუერთდნენ სომეხ-გრიგორიანებს. გარდა ამ შემთხვევათა, ქართველების რამდენიმე ნაწილი შეუერთდა სომეხებს, როცა სომეხთა ეკლესია მოშორდა საქართველოს ეკლესიას და ამ სახით არა ერთმა ქართველმა მიიღო სომეხ-გრიგორიანთა აღსარება. სომეხები ქ. გორისა, თელავისა, ტფილისისა, დუშეთისა არიან

²⁾ ახ. ქმუნი დახმარება სომეხთაში, ჟჟანშიევის რედაქტორობით, გამ. მეორე.

უმეტესად ქართველები გრიგორიანთა აღსარებისა. ამ კითხვას ჩვენ კიდევ დაუბრუნდებით, ახლა მხოლოდ ვიტყვით, რომ საქართველოში ძნელი არ არის მოინახოს ძველი დროიდან ერთი გვარის პირნი, რომელთაგან ზოგნი ეკუთვნიან მართლმადიდებელს და ზოგნი გრიგორიანთა აღსარებას, ანუ მართლმადიდებელს და კათოლიკეთა აღსარებას. ასეთებია, გარდა პირველ სტატიაში ჩემ მიერ ნაჩვენები გვარამაძისა³⁾ გვარები ბაქრაძე, სააკაძე და ალექსიძე ქართლში, თავადები ჩიქოვანი და ლოლუა სამეგრელოში, თავად ჩოლოყაშვილები კახეთში, ჯაყელი სამცხეში და ანდრონიკაშვილები, რომელთა წევრნი ზოგნი ეკუთვნიან მართლმადიდებელ და ზოგნი კათოლიკეთა ეკლესიას. მსგავსი მაგალითებით არ გავაგრძელებ ჩემს წერილს, და თუ გავიხსენებთ ისტორიულ მსვლელობას კათოლიკეთა ეკლესიის სწავლამოდღერების გავრცელებისას საქართველოში, მაშინ გამოგონებულად არ ჩავთვლით ქართველ-კათოლიკეთა განსაკუთრებული საზოგადოების არსებობას, რომელსაც უარსა ჰყოფს ბ. სარუხანი. სიტყვას— „ქართველ-კათოლიკენი“ ბ. სარუხანი აღნიშნავს ერთი უბრალო სიტყვით quasi?! ჩვენ არ გვემის, თუ სომეხ-კათოლიკეთა ეკლესია რატომ ცდილობს თავის სამწყსოს შეუერთოს ის პირნი, რომელნიც თვითონ უარსა ჰყოფენ სომეხ ეროვნებას და ისტორიული ფაქტების და სხვა უტყუარი მოწმობით ამტკიცებენ, რომ იგინი ჩამომავლობით არიან ქართველები და არა სომეხები. შეიძლება, უფრო მომეტებული პატივი ეკუთვნის სომეხების ეროვნებას და არა ქართველებისას, მაგრამ მრავალი კათოლიკენი კავკასიაში აცხადებენ, რომ იგინი ქართველები არიან, და მათი ხმა შესმენილუნდა იქნეს. ღვთის-მსახურება, როგორც სრულდებოდა მათთვის ამას წინეთ სამშობლო ენაზე, ხელახლა წარმოებულ უნდა იქნეს ქართულს ენაზე. ქართული რიტუალი, რომელიც მიღებულია ქართველ-კათოლიკეთა კრებისაგან კონსტანტინეპოლში, გავრცელებულ უნდა იქნეს ქართველ-

³⁾ მისი უწინდელი გვარი შესაძლებელია (ქართული სიტყვა სარკე, რომელიც ნიშნავს зеркало), არა სახით არ შეიძლება ჩაითვალოს სომეხურად, როგორც გვარწმუნებს ბ. სარუხანი.

კათოლიკეთა ეკკლესიაზე ტფილისში, ქუთაისში, გორში და სხვა ადგილებში, სადაც ცხოვრებენ ქართველი კათოლიკენი, სრულებით კანონიერი არ არის და არც მთავრობისათვის არის სახირო, რომ იმ ქართველებს, რომელნიც ზოგიერთ ისტორიულ შემავიწროებელ გარემოებათა გამო კათოლიკეთა აღსარება მიუღიათ, ხელოვნურად უერთებენ სომხებს და, ცდილობენ გააუქმონ მათი დამოუკიდებელი ეკკლესია, რომელშიაც ღვთის-მსახურება სრულდებოდა სამშობლო ენაზე, და ძალას ატანებენ მოისმინონ ღვთის-მსახურება უცხო, მათ გაუგებარ სომხურ ენაზე. რომ დღემდე არსებობდა ქართველ-კათოლიკეთა განსაკუთრებული საზოგადოება, ეს ეჭვ გარეშეა და ამ ფაქტს უნდა გავსცეთ ხმა მიუხედავად სარწმუნოებისა და ეროვნობისა.



ა. ხახანაშვილი.



ახალი ამბები და შენიშვნები.

მართველობის უწყებაში სხვათა შორის დაბეჭდილია სტუდენტების არეულობაზე შემდეგი: „4 მარტს პეტერბურგში, ასე დილის 11 საათზედ, ყაზანის ტაძართან შეიკრიბნენ სხვა-და-სხვა წოდების კაცნი, რომელთაც თავი მოიყარეს თვით ტაძარში, იმის გარშემო და მოედანზედ. 12 საათზედ ბრბოს უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტები და დედათა კურსების ყურის მგდებელნი მიემატნენ, ასე რომ ეკკლესია, ეზო, ბაღი და გვერდის გასავალები მთლად ხალხით გაიჭედა. იქმნებოდა იქ 3000 კაცამდე, როდესაც პოლიცია დაშლასა თხოულობდა, დამსწრეთა უმრავლესობა ყურადღებას არ აქცევდა პოლიციის სიტყვებს. ხალხში ავრცელებდნენ სხვა-და-სხვა ფურცლებს, ხოლო ერთი სტუდენტი ტაძრის კარებთან ხმამალა შეუდგა პეტერბურგის სტუდენტების სახე-

ლით მოწოდების კითხვას. მოწოდებაში სხვა-და-სხვა მოთხოვნილება იყო დასახელებული: ატყდა ხმაურობა და ყვირილი, რის გამო დაბარებულ იქმნენ მრავლად პოლიციელნი და ყაზახები, რომელთაც სრულიად მოსწყვიტეს მოედანზედ მყოფი ბრბო ნევსკის პროსპექტსა და გარშემო მრავლად შეკრებილ საზოგადოებას. როდესაც რაზმი გაჩნდა, შეკრებილმა ბრბომ უკან, ტარის კარისკენ, დაიხია და პოლიციასა და ჯარს სხვა-და-სხვა ნივთები დაუშინა. ამასთან რამდენმამე სტუდენტმა განიზრახა გაშლა წითელისა და თეთრის დროშებისა (ეს დროშები თანა ჰქონდათ), რომლებზე წარწერები იყო. დროშები მაშინვე წაართვეს სტუდენტებს. ტაძრის მარჯვენა მხარეს ბრბო შეებრძოლა პოლიციისა და ყაზახთა რაზმს; რკინის შანთებით, რომლებიც ეკკლესიაში ხალიჩებს ააცალეს, ისროდა კალოშებს, გაყინულ თოვლს და ქვებს. ამ დროს ბრბოდგან გასროლილ რკინის ჯოხით თავში დაჭრილ იქმნა ლეიბ-გვარდიის მისის უდიდებულესობის რაზმის ესაული ისევეი, ამასთან რკინა იმდენად მაგრა მოხდა, რომ დასახელებული აფიცერი დასისხლიანებული ჯარიდგან გაყვანილ იქმნა. დანახეს რა ეს ყაზახებმა, ბრბოს შუაგულისაკენ გაიწიეს, ეკკლესიისაკენ, სადაც მათა და ბრბოს შორის ცხუბი გაიმართა, ბრბოს ნაწილი მოედნისაკენ იქმნა დაწეული, ამ ნაწილს პოლიცია შემოერთყა და წაიყვანა, მეორე ნაწილი ეკკლესიაში შევარდა, ამასთან ზოგი ქუჩებში იყო, ზოგიც პაპიროსსა სწევდა; როდესაც შვეიცარმა შენიშნა ბრბოს ასეთი უწყსოება, ერთმა სტუდენტმა სახეში შემოჰკრა. თუმცა ეკკლესიაში უწყსოება და ხმაურობა ასტყდა, წირვა მაინც ბოლომდე არ შეწყვეტილა; მლოცველთა უმრავლესობა ეკკლესიიდან გვერდის კარებებით გავიდა. აღსავლის კარების დახურვის შემდეგ წინამძღვარი გამოვიდა უწყსოების მომხდენთა დასარიგებლად, მაგრამ იმისმა მეცადინეობამ უნაყოფოდ ჩაიარა; ხოლო როდესაც წინამძღვარმა სთხოვა ბრბოს ეკკლესიიდან გასვლა, წინამძღვარის უკან მდგომმა, ანათორის სახელოში ხელი წაავლო და ურჩია, უსიამოვნების თავიდგან ასაცილებლად, თვით გაღით ეკკლესიიდანაო. შემდეგ ბრბომ ტაძრის უკანა კედლისაკენ დაიწია სათათბიროდ.

უმრავლესობამ გადასწყვიტა არ გავიდნენ ეკლესიიდან სათითაოდ და გაანადგურონ ყველაფერი, რაც-კი იმათ სახელს ჩრდილს მოჰყენდა. ამ დროს შევიდა პოლიცია, რომელმაც დაარწმუნა ეკლესიაში დარჩენილნი, რიცხვით 300 კაცი, ტაძრიდან გასულიყვნენ და ვაჰკოლოდნენ პოლიციას ყაზანის ნაწილში. მოედანი ტაძრის ნაშუადღევის პირველ საათისთვის განთავისუფლებულ იქმნა უწყსოების მომხდენთაგან, რომლის შემდეგაც პოლიცია და ყაზახები იძულებული შეიქმნენ რამდენსამე საათის განმავლობაში ხელი შეეშალათ, ნევსკის პროსპექტზედ თავი არ მოეყარათ შეკრებილთ, რომელნიც, სამწუხაროდ, მეტად მრავლად შეგროვდნენ საღვთის კუჩხასა და პოლიციის ხიდს შუა და რომელნიც აფერხებდნენ პოლიციის მოქმედებას. სულ შეპყრობილ იქმნა 4 მარტს 760 კაცი, რომელთაგან 339 კაცი სატახტო ქალაქის უმაღლესს სასწავლებელთა სტუდენტია, 377 ქალია, უმთავრესად სხვა და-სხვა კურსის ყურის მგდებელი, და 44 გარეშე კაცი. ბრბოსთან შეტაკების დროს დაჭრილ იქმნა ზემოდ დასახლებულთა ესაულის ისევეის გარდა ბოქაული პოდვილჩევსკი თავში დაშავებულ იქმნა ისე ძლიერ, რომ მკურნალთა შემწეობა დასჭირდათ, 20 პოლიციელი და 4 ყაზახი, ხოლო დაბატმირებულთაგან 18 კაცი და 14 ქალი. გამოძიება სწარმოებს დამნაშავეთა შესახებ».

—

ქუთაისის დებუტატთა საკრებულოს შეატყობინა ქუთაისის გუბერნატორმა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ვერ სცნო შესაძლებლად წარედგინა მის უდიდებულესობისათვის ქუთაისის თავად აზნაურობის წარსულს არაჩვეულებრივ კრებაზე მომხდარი არჩევანი, რადგანაც ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის მარშლის თანამდებობაზე არჩეული კანდიდატები თავ. ს. გ. წერეთელი და თ. ნ. ყ. თავდგირიძე აირჩიეს არა ერთმა და იმავე რიცხვმა ამომრჩევლებისამ, როგორც ამას თხოულობს მე-IX ტომის მე-259 მუხლი კანონთა კრებულისა (გამოცემა 1889 წ.). ახალი არჩევნები მოხდება 24 აპრილს.

—

9 მარტს, ღამე, ქალაქ სამარიდგან მოსულმა ტიტულიარნი სოვეტნიკის შეილმა ნიკოლოზ კონსტანტინეს ძემ ლაგოვსკიმ, რომელიც სამარის საგუბერნიო საერობო გამგეობაში ჰმსახურებს სტატისტიკოსა, უწმინდესის სინოდის ობერ პროკურორის სახლთან გავლის დროს, ლიტენის პროსპექტზედ, ძირის სართულში განათებული ფანჯრებიდან კაბინეტში, სადაც ამ დროს დეისტეტიელნი ტაინი სოვეტნიკი პობედონოსცოვი იჯდა და მეცადინეობდა, საწერ მაგიდისაკენ რევოლვერი ორჯელ დასცალა, შემდეგ ერთი შევიცრის ფანჯარას ესროლა, მეოთხე მოუცდა. საბედნიეროდ ბორატ-გამზრახველის მიერ ნასროლი ტყვიები ჭერს მოხვდა. გამოძიებას საგანგებო საქმეთა სასამართლოს გამოძიებელი კუზმინი ახდენს პეტერბურგის სამოსამართლო პალატის ბრალმდებლის მაქსიმ ვიჩის მეთვალყურეობის ქვეშ.

—

გამოვიდა მე-5 №-რი „საქართველოს საქსარხოსოსი სასულიერო მოამბე“, დაკ. ი. ვოსტორგოვის რედაქტორობით. მკითხველებმა იციან, რომ ამ ჟურნალის რედაქტორად უნდა ყოფილიყო რექტორი სემინარიისა, მაგრამ დღეს რედაქტორად დაინიშნა ეპარქიის მეთვალყურე დეკ. ი. ვოსტორგოვი. ახალი რედაქტორი ბევრი ცვლილების მოხდენას გვპირდება. ჟურნალი სივრცით იმოდენივე დარჩება, როგორც დღეს არის, მაგრამ მსხვილი ასოების მაგიერ წვრილი ასოებით იქნება აწყობილი და ამნაირად უფრო მეტი მასალა დაეტევაო. რედაქტორი გვპირდება, რომ უყურადღებოდ არ დასტოვებს მისიონერულ და სამრევლო სკოლების საქმეს. განსაკუთრებით იმედი აქვს რედაქციას ეპარქიის მისიონერების და სამრევლო სკოლების მეთვალყურეთა, რომელნიც თავიანთ ანგარიშებს მიაწვდიან რედაქციას. რედაქცია პირდება სამღვდლოებას, რომ წინდაწინ დამზადებული ქადაგებანი ქართულს ენაზე ჟურნალის დამატებით გაეგზავნებათ. ეს ძლიერ კარგი იქნება, თუ დამზადებული მოძღვრებანი შედგენილნი იქნებიან ჩვენი ხალხის მოთხოვნების დავგარად.

—

პირველ მარტს სასამართლო პალატამ განიხილა საქმე ქუთაისის გუბერნიის, შორაპნის მომრიგებელ განყოფილების მომრიგებელ მოსამართლედ ნამყოფის იერონიმე იოსების ძის ყუბანეიშვილისა, რომელსაც სამსახურის აღსრულების დროს დაუდევრობის ჩადენა ედებოდა ბრალად; მომრიგებელ მოსამართლის საქმეების რევიზიის მოხდენის შემდეგ აღმოჩენილა, რომ თან და თან 1894 წლიდან 1899 წლამდე ჯეროვანი ყურადღების მიუქცევლობისა გამო ზოგიერთი თხოვნები აღმოჩენილან საგერბო გადასახადის გაუღებლად და ზოგს საქმეებზე კი იმდენი მარკებიც ყოფილა მოთხოვნილი, რომ მისი ნახევარიც საკმარისი იქნებოდა თურმე; ასეთი უყურადღებობით, როგორც საქმიდან სჩანს, ხაზინას უზარალნია 375 მან. 17 კაპ. იმ მარკების საფასი, რომელნიც არ ყოფილა საქმეებში სხვა-და-სხვა საბუთის ქალაქებზედ. საქმისადმი ასეთი უზრუნველობისათვის ყუბანეიშვილი პასუხის გებაში მისცეს. პალატაში საქმის გარჩევის დროს დაბარებულმა მოწმეებმა კანდელაკმა, გიორგობიანმა და სხვათ აჩვენეს, რომ რადგანაც მომრიგებელ მოსამართლეს მეტად ბევრი საქმეები ჰქონდა, წესად შემოიღო საქმეებში ქალაქებზედ მარკების დაკვრა შაბათობით და მაშინ იმდენად მუყაითად და ფხიზლად ეკიდებოდა საქმეს, რომ ყოველ საქმეს თვით შეამოწმებდა ხოლმე.

პალატამ დამნაშავედ იცნო ყუბანეიშვილი სამსახურის დროს დაუდევრობაში და დაადგინა გამოცხადოს მას სასტიკი შენიშვნა და დაეკისროს საქმის საწარმოებელი ხარჯის გარდახდა.

* *

მეტად სასიამოვნო ამბავი მოიტანა სინოდის ოფიციალურმა ჟურნალმა — „სასულიერო უწყებამ“. 20 თებერვლიდან იწერებინან, რომ უმთავრესმა სამრევლო სკოლების საბჭომ, უწმიდეს სინოდთან არსებულმა, ჩვენი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის ყველა გამოცემანი რუსული ენის სასწავლებლად, სავალდებულო სახელმძღვანელოდ მიიღო სამრევლო სკოლებში — ყველგან საექსარხოსოში.

* *

როგორც მკითხველებმა უკვე უწყობან, ქუთაისის თავად-აზნაურობამ ჯერ კიდევ ვერ გადასწყვიტა, როგორ უნდა ილღესასწაულოს ასის წლის შესრულება საქართველოს რუსეთთან შეერთებიდგან. ამის გამოსარკვევად 9 მარტს ქუთაისში აარჩიეს განსაკუთრებული კომისია, რომლის წევრებადაც არიან თავ. დ. ო. ნიჟარაძე, თავ. პ. ა. თუმანიშვილი, ა. ი. ნანეიშვილი, თავ. ს. გ. წერეთელი, გ. ფ. ზდანოვიჩი და ა. მ. ქოჩაკიძე. კომისიამ თავად-აზნაურთა მომავალ კრებას თავისი მოსაზრებანი უნდა წარუდგინოს.

* *

მათმა მეუფებამ, ყოვლად სამღვდლო ლეონიძემ ძლიერ გულდასმით დაათვალიერა იმერეთის ეპარქიის გაბრიელის ქალების სასწავლებელი და მთელი ეზო პანსიონის ასაშენებლად. ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით მშენიერი ადგილია პანსიონისთვის, მაგრამ ზედ ამ სასწავლებლის გვერდზედ დაბინავებულია ზოპერის პოლკი, რომელთა ცხენებით მთლად გაფუჭებულია ჰაერი მახლობელი ადგილებისა და სასწავლებელიც მეტად შევიწროებული არის ამ პოლკის ყაზანთაგან.

* *

ამ წასულ კვირაში შორაპნის მაზრაში გაუტეხიათ ვილაც ბოროტ-გამზრახველთ სამი ეკლესია; ფულად მხოლოდ 1 მ. 60 კაპ. წაუღიათ, ხოლო ეკლესიის სხვა-და-სხვა ნივთები გამოუტანიათ და ეკლესიის ეზოში მიმოუბნევიათ. ეს მეცხრე შემთხვევაა ამ კუთხეში ეკლესიების გატეხისა, მაგრამ აქამდე ადგილობრივმა პოლიციამ ვერ გამოარკვია, თუ ვინ და საიდან არიან ეს ბოროტ-მომქმედნი. დღემდის ეკლესიებს ყარაულობდენ და ეხლა მრავალ ადგილას არავინ არ უგდებს ყურს ეკლესიის ყარაულობას.

* *

გზათა სამინისტრომ გადასწყვიტა სახელმწიფო რკინის გზებისათვის შეიძინოს ისეთი მსწრაფლ-მოსიარულე ორთქლ-მავალები, რომელთა წყალობითაც მატარებლებს შეეძლოთ საათში 60—80 ვერსის გავლა.



სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ საზღვრებსა და ვითილ-ზნეობაზე.

ს ი ბ უ ვ ა,

თქვა ქუთაისის საკრებულო ტაძარში დიდ-მარხვის პირველი კვირისას შაბათს, შემდეგ წმ. ზაარების მიღებისა.

რომელი ჰსჯამდეს ხორცსა ჩემსა და ჰსმიდეს სისხლსა ჩემსა, იგი ჩემთანა დადგრომილ არს, და მე მისთანა (იოან. 6, 56).

მოგილოცავთ, წრფელის გულით მოგილოცავთ, ძვირფასო მსმენელო, ქრისტე იესოსთან შეერთებას, მაცხოვრის ღვთაებრივი ხორცისა და პატიოსანი სისხლის მიღებას! ვთხოვ და ვევედრი მას, რათა ზიარება წმიდათა საიდუმლოთა მისთა გექმნეს თქვენ ცხოვრებად საუკუნოდ და საკურნებელად სულისა და ხორცთა.

იკოდეთ, ძვირფასო, რომ ამიერიდგან თქვენ აღარ იმყოფებით მარტოდ; თქვენი სულის საფარის ქვეშ შემოვიდა მაცხოვარი, თქვენ გულში ბინა დაიღო ქრისტემ, თქვენთან დაემკვიდრა ძე მღვთისა იესო: რომელი ჰსჯამდეს ხორცსა ჩემსა და ჰსმიდეს სისხლსა ჩემსა, იგი ჩემთანა დადგრომილ არს და მე მისთანაო, ბრძანებს თვით მაცხოვარი; ამიერიდგან თქვენ შეიქმენით ასონი ვგამისა მისისანი, ხორცთა მისთაგანნი და ძვალთა მისთაგანნი (ეფეს. 5, 30). თუ კი სანატრელად და სასიქადულოდ გვაქვს ყველას მიმჩნეული სახელოვანი და წარჩინებული პირის მიღება ჩვენ ოჯახში, ჩვენი ქერის ქვეშ, რამდენად უფრო სასიხარულო და სასიქადულოა ჩვენთვის არა გარეგანი და დროებითი მიღება, არამედ შეერთება მთელი ჩვენი არსებით ცისა და ქვეყანის დამბადებელთან, რაზომ სანეტარო და საწადელია ქრისტესთან ერთობა და მასთან განუყოფლად ცხოვრება. ოჰ, ამაზედ უაღრესი, ამაზედ უდიდესი, ამაზედ უძვირფასესი არცა რა არისრა აღამიანისათვის და არცა რა იქმნებარა!

მიღება ქრისტეს სისხლისა და ხორცისა აღავსებს აღამიანს არა ქვეყნიური ბედნიერებით და იგი ციური ნეტარება ცხადად გამოსჭვივის კაცის გარეგნობაში. ქვეშაირიტად ანგელოსთა სურათს წარმოადგენს ეს თქვენი, უკვდავთა საიდუმლოთა მიმღებელნო, დღევანდელი კრება. ყველას, რომელნიც კი ღირსნი ვახდით ქრისტეს სისხლისა და ხორცის ზიარებისა, მიმოგიქრით პირის სახეზედ ციური სიხარული, დიდსაც და პატარასაც დაგვენიათ. შუბლზედ ღვთაებრივი სხივი, ყველანი გამოიყურებით ზეცის ელფერით, ყველას გეტყობათ აღმფრთოვანებელი ნეტარებით გულის ცემა და ცხადად გემჩნევით სიწმინდის, უმანკოების, სიწრფელის და სიყვარულის გრძნობით გამსჭვალულება. ახ, რა ბედნიერება დამყარდებოდა ქვეყანაზედ, რომ აწინდელი მდგომარეობა მოზიარეთა იყოს ხანგრძლივი, სამოლამო! იმ შემთხვევაში ეს დედამიწა, დამძიმებული ჩვენი აუარებელი მწარე ცოდვებით, დედამიწა, მორწყული და გაყენილი ურთ-ერთშორის მტრობისა. შურისა და ძვირის ძიების გამო ჩვენ მოძმეთა და მონათესავეთა დაღვრილი სისხლით, შეიქმნებოდა ნამდვილ სამოთხედ და გარდა სიყვარულისა და სათნოებისა ველარა გვარი უწესოება ვერ მოიკიდებდა ფეხს ჩვენს ცხოვრებაში. მაგრამ ვაი, რომ ყველა ამას ნაკლებულნი ვართ, ვაი რომ ერთობ სისწრაფით ვეფხვებით ხოლმე ამ გვარ საღმრთო აზრებს, მეტად ჩქარა ვიშორებთ მათ თავიდან და კვალად ვიდგამთ ქედზედ ჩვენგანვე მოშხამული და ნაღველი ცხოვრების უღელს!

მართალია, ხსენება ზიარებისა იწვევს ყოველთვის ჩვენ შორის შესაფერ ღმობიერებას და მოწიწებას, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს კეთილი გრძნობები არ გვრჩებიან დიდხანს გულში, ისევ ჩქარა გვშორდებიან, ჩქარა გვენდობებიან რადგანაც, ჩემი შეხედულებით, სხვათა შორის, აღარ გვესმის შესაფერისად ფართო და ყოველმხრივი აზრი ამ ძვირფასი, ბრძნული და საგულისხმო ლექსისა, თუმცაღა იგი ამოღებულია იმისთანავე მდაბალი ხალხის გონების მადლიანი სალაროდგან, როგორსაც წარმოადგენთ თქვენ. რას ნიშნავს სიტყვა ზიარება? რა აზრს გამოვთქვამ, როდესაც ვამბობ: ეს ჩემი საკუთრება დაუზიარე ამა და ამ კაცს? ამითი, ძმანო, გამოვხატავ იმ აზრს, რომ ჩემ საკუთრებას გაუჩინე მეორე, ჩემ გვარი პატრონი; ეს ახალი, მეორე პა-

ტრონი დაზიარებული ქონებისა ვალდებულია იზრუნოს და იჭირნახულოს ზიარობით შეძენილი ქონების გამრავლება-შემატებისთვის ისეთივე თავდადებით, ისეთივე ერთგულებით, ისეთივე მუყაითობით და დაუზარებლობით, როგორც ვიზრუნებდი და გულმტკივნეულად ვიქმნებოდი ამაზედ მე თითონ; ამ ახალი პატრონის ერთგულება და გამსჯელობა საზიარო საქმეში სასარგებლოა ჩემთვისაც და იმისთვისაც, მისი უყურადღებობა და დაუდევრობა კი სამწუხაროა ჩემთვის, დამცირებაა ჩემი, ცხადი ნიშანია ჩემი არაფრად მიმჩნევისა, არა პატივიც ცემისა და შეურაცხებისა, ხოლო მისთვის პირადად ასეთი საქციელი არის მეტად საზარალო, რადგანაც მე, როგორც მესაკუთრეს, მაქვს კანონიერი უფლება მივცე პასუხის გებაში დაუდევარი მოზიარე, ჩამოვართვა მას ჩემი გაზიარებული საკუთრება და ავინაზღაურო შესაფერი სარგებელით მისი ქონებიდან, მისი ჯანიდან და ოფლიდან ჩემი დანაკლისი. ამისთანა მკაცრი სასჯელი მოელის, მსმენელნო, თქვენივე შეხედულებით ყველა უზრუნველ და ორგულ მოზიარეს. აქედან ყველასთვის ადვილი მისახვედრია, რას უნდა მოველოდეთ იესო ქრისტესგან მისი სისხლისა და ხორცის მოზიარენი, თუ ამ ძვირფას ანაბარს, ან საუნჯეს არ უპატრონეთ თავდადებით, არ დავიცვეთ მისი სიწმიდე, არ მოვიშაღეთ სიავე და არ მოვაწყუეთ ჩვენი ცხოვრება თანახმად ღვთის ბრძანებათა. მაგრამ გაემხნევედეთ! ბეჯითად ვიწყით კეთილი შრომა, რადგანაც მომხრედ და შემწედ გვეყოლება ჩვენთან დადგრომილი ქრისტე, რადგანაც მოზიარე ამ ჩვენი შრომისა იქმნება იესო ტკბილი, რომელმაც იცის ღვთისმსახურთა მათ განსაცდელითა განხსნაჲ (2 პეტ. 2, 9). ამინ

ეპისკოპოსი ლეონიდი

ხმა მაცხოვრისა ვაკლეაქის მწყემსისადმი.

«სახე მიგვე თქვენ; რათა ვითარცა ესე მე გიყავ თქვენ, ვგრთვე თქვენცა ყოფდეთ». (იოან. 13, 15).

გაგრძელება *)

თავი 7. მორჩილება.

1. უნც იცი ხომ, მოძღვარო, რომ ჩემმა მოციქულმა სთქვა ჩემს შესახებ: „დაიმდაბლა თავი თვისი და იქმნა იგი მორჩილ ვიდრე სიკვდილამდე, და სიკვდილითა მით ჯვარისათა (ფილიპ. 2, 8).

*) ის. „მწყემსი“ № 4 1901 წ.

მე ვემორჩილებოდი არა მარტო ზეციურ მამას, არამედ მარიამსაც და იოსებსაც (ლუკ. 2, 51); — ხშირად სხვა კაცთაც, თუმცა არ ვიყავ ამის ვალდებული. ეცადე, რათა მბაძვიდე მე ამ სათნოებით შენის მოქმედებით ცხოვრებაში, — და მაშინ იქნები ძლიერა-მოსილი ყველა შენს მტრებზე.

შენ უნდა იყვე სრული მორჩილი შენის მღვდელ-მთავრისა. ის შენი უფროსია, რომელიც ჩემის სახელით გაძღვეს განკარგულებას. შენ დადებული გაქვს აღთქმა მორჩილებისა. წინააღმდეგ მღვდელ-მთავრისა ნუ იქმ ისეთ საქმესაც, რაც შენის გონებით სრული სიკეთეა. შენი წინააღმდეგობით მღვდელ-მთავრის მიმართ ვერასოდეს ვერ დამსახურები ჩემი დიდების გავრცელებას. ანას ვერასოდეს ვერ მოგიწონებ, პირ იქით დასჯილიც იქნები. ყოველი განკარგულება მღვდელ-მთავრისა აასრულე მაშინაც, როდესაც ის უმნიშვნელოდ გეჩვენება. საჭიროა შენთვის, რომ მორჩილებას ეჩვეოდე.

2. ზოგჯერ ეპისკოპოსი მხოლოდ სიტყვიერ რჩევას იძლევა, რომელსაც სავალდებულოდ გიდგენს შენ. მაგრამ შენ ცოდვად მიგაჩდეს ამ რჩევის აუსრულებლობა. რჩევა ეპისკოპოსისა იგივეა შენთვის, რაც განკარგულებაა. მე ვაკურთხებ შენს მორჩილებას ეპისკოპოსისადმი და ჩემი კურთხევა კი ანუ გეშებს შენს სულს.

მაგრამ როდესაც შენ ასრულე ეპისკოპოსის განკარგულებას, ან ეთანხმები მის რჩევას, გახსოვდეს, რომ ამას შვრები სათნოებისათვის, და არა სხვა მსოფლიური მდაბალი მიზნისათვის, — მაგალითად მისთვის, რომ დაიმსახურო მისი ყურადღება, მოფერება, ან მიიღო მისგან ჯილდო. შენი გულის სიწმიდეს მე დაგიჯილდოებ უხვად, ღვთაებრივი მადლით, და თუ საჭიროდ ვსცნობ, მსოფლიურ ჯილდოსაც მოგანიჭებ. ყოველივე ესენი ჩემს ხელთ ქვეშაა.

თავი 8. გულის სიწმიდე.

1. მიაქციე ყურადღება, ჩემო მღვდელ-მსახურო, რომ ამდენ საუკუნეთა განმეფლობაში მხოლოდ მე ვიშვე სასწაულებრივ ყოვლად წმიდა მღვთისმშობლისაგან. ჩემმა მტრებმა ვერ შეიძღეს და ვერ ნახეს მიზეზი, რომ ჩემს გულში ერთი შავი წერტილი აღენიშნათ, თუმცა ბევრი ცილის წამება

მივიღე მათგან. ჩემი სიწმიდით უმაღლესია ანგელოს-თა სიწმიდით.

თუ შენ მკაცრად მოეცილები თავის თავს ჩემის ყოველად შემძლებელის მადლის შემწეობით შესძლებ მიემსგავსო ანგელოსს ამ ქვეყნადაც. ხომ იცი, ჩემი მადლი ამ ქვეყნადაც ჰქმნის ანგელოსებს. მათი რიცხვი მრავალი იყო ჩემ მორწმუნეთა შორის, და დღესაც ბევრია.

2. თუ შენ, მღვდლო, არ ისურვებ, რომ გულის სიწმიდით ანგელოსებრივი იყო, მაშინ მაცდურს ემსგავსები. ეს აზრი მართლდება საერთოდ ქრისტიანებზე, და მით უფრო გამართლდება ჩემს სამღვდლო მოსამსახურებზე.

ცდუნება გულის სიწმიდის წინააღმდეგ სხვებზედ უფრო ეპარება ადამიანს ბუნებაში და მკვიდრდება იქ. ესენი შეეპარება ადამიანს გულში ხან უმანკო უბრალოების სახით, რაც აღტაცებით მოყვარულია სიმშვენიერის, — ხან თანაგრძობის სახით უბედურებისა და მწუხარების დროს, ხან კი სულიერი სიკეთისა და ერთგულების სახით. რაკი ეს დამღუბველი შხამი ფეხს მოიკიდებს ადამიანის გულში, თითქმის შეუმჩნევლად მიიზიდება მისკენ კაცი და ეძლევა წარმტაც მოჩვენებათა. ფიქრები აძლირებენ ამ მიზიდველობას და დამღუბველ ფიქრებს. ერთიცა და მეორეც დღითი დღე მტკიცდება და იზრდება.

3. მღვდელ-მსახურო, უთუოდ შენიშნავდი, რომ ამ გატაცებას და მიდრეკილებას არ აქვს გულ-უბრყვილობისა და უმანკოების ხასიათი. მაგრამ ის მაშინაც, როდესაც ამჩნევს, ძლიერ სუსტად იცავს თავის თან წარმტაცი ფიქრებისაგან, რომლებიც უმაღლეს წერტილზე ასულან, არ შესწევს ძალ-ღონე ეწინააღმდეგოს მიზიდველ გრძობათა, და მაინც ეძებს მრავალნაირ მიზეზებს, რომ დაარწმუნოს თავის თავი, რომ ეს გატაცება არაფერ დანაშაულობას არ შეიცავსო. შემდეგ მიაპყრობს თვალს სიბრაღულით საკუთარ სისუსტეს და უკანასკნელად ეძებს ამ სისუსტის გამამართლებელ საგნებსაც. მაშინ რაც უნდა ღრმა უფსკრული იყვეს, მიეშურება შიგ ჩასავარდნად. ვერც ერთი საშიშროება ვეღარ შეაყენებს მას. მომაკვდინებელი ცოდვა, შეჩვენება ეკლესიის მიერ, ჯოჯოხეთი — ყოველივე ეს მისთვის „არარაა“. თავ-გასული ამაცი არაფრად აფასებს თვის პატიოსნებას. მეტის-მეტე თავმოყვარე სწირავს თვის სულს,

თვის სიცოცხლეს, აგდებს საფრხვეში თვის სულის და ცხოვრებას.

4. უბადრუკება გულისა, რომელიც ყოველად ადამიანისთვის საშიში სენია, სამღვდლო მოსამსახურეთათვის უფრო მეტი სასაშიშროა, ვინაიდან ამ სენს მოჰყვება მრავალნაირი წამბილწველი შედეგი. აქ შეურაცხებაა ყველა სამღვთო საგნებისა, რომლებსაც კი აქვს დამოკიდებულება სამღვდლო მოსამსახურესთან. რაზომ დიდი შეურაცხუთაა ჩემი ხორცისა და სისხლისათვის, როდესაც ლიტურგიას ასრულებს მღვდელი, რომლის გული გამსჭვალულია უწმიდურებით? ვინ წარმოიდგენს უსახარლეს რასმეს იმაზე, როდესაც მღვდელი თვისი გარყვნილებით დამონებია დაბალ გრძობათა? ის უმანკო სულებს, რომლებიც მოდიან მასთან, რათა მოიკლან წყურვილი მის მიერ ჩემი სამღვთო წყაროდან აღმოვსებული ცხოველი წყლით, აწვდის სასმელს ბაბილონელ ცოდვით მოშხამულს. ურცხვად შეურაცხ-მყოფელი სამღვთო სიწმიდისა ცდილობს შეაერთოს ციური წყარო და ჯოჯოხეთური შხამი იმ იმედით, რომ ადვილი მოსატყუებელია უმანკო გულ-უბრყვილობა კეთილ-შობილურ სულთა.

მტკიცედ გახსოვდეს, მღვდლო, რომ შენ შეგიძლია ჩემის მადლის მეოხებით სავსებით დაიცვა შენი გულის სიწმიდე. მაგრამ ამისთვის მიუცილებელია ორი პირობის დაცვა; სახელდობრ: — ერთდევ ყოველ სახითათო შემთხვევას, რომელსაც შეუძლია შეგაცდინოს, მეორედ შეუდრეკელად გეჭიროს გული, რომ ვერც ერთმა ხორციელმა, დაბალმა გრძობამ ვერ შეატანოს შიგ.

(გაგრძელება იქნება).



რედაქციის პასუხი.

მდ. ის. კვიუ—ქს. გმადლობთ თქვენი თანაგრძნობისთვის. ჩვენს გამოცემაში ვერ დავბეჭდავთ ჩვენგან შეწირული ნივთებისათვის მადლობას. ამას თავის ქებათ ჩამოგვართმევენ. ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, თქვენსავით მადლიერი დარჩებოდა ყოველი მღვდელი, რომ კარის გამღები იყოს ვინმე იმ ბნელი ოთახისა, რომელშია ისინი არიან ჩამწყვდეულნი...

მდ. მ. ს. ბ—შვილს. დიდი სიამოვნებით მივცემთ ადგილს ჩვენს გამოცემაში ყოველ იმ შენიშვნას, რომელიც ძველს და ახალს ჩვენის ბორჩალოს ცხოვრებას შეეხება.

მდ. მ. ი. თ—ქს. ერთხელ აღრჩეული მოძღვართ-მოძღვარი სანამ იგი შეიძლება სამსახურს, მანამდის რჩება გამოუცვლელად. ჯამაგირების მიღების წესი რამდენჯერმე გამოცხადდა. ჯამაგირის მიღების უფლება ბლალოჩინებს აქვსთ ხაზინიდან. ბლალოჩინმა რომ ორმოცი ვერსი გაიაროს ჯამაგირების მისაღებად და დაეხარჯოს ფული, რასაკვირველია, აიღებს თავის დანახარჯს.



შეწირულებანი.

I.

მ. რედაქტორო! უმოჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ, რომ თქვენი პატივცემული ვაზნითი «მწყემსი»-ს საშუალებით, უგულისთავისი მადლობა გამოუცხადო როგორც მე, ისე ჩემმა მრევლმა ქვემოთ მოხსენებულ პირთ, რომელთაც ჩემის თხოვნით შემოსწირეს ს. ვარციხის დვთის-მშობლის ეკლესიას ფულები და ნივთები: ალექსანდრე ს. ანანოვა 25 მ., აბგარ ა.

ანანოვა 10 მ., მიხრან ა. ანანოვა 10 მ., სარქის რ. იოანესიანცემ 3 მ. (სომეხთ-გრიგორიანთ სარწმუნოებისანი არიან), ვილველმ ღ. მელმაწვა (ნემეცი) 3 მ., ალექსანდრე სერებრიაკოვა 5 მ., კონსტანტინე ე. ივანოვა (რუსი) 3 მან., მღ. ერ. გუმბერიძემ და მისმა ოჯახობამ ტრაპეზის დიდი ჯვარი, დირებული ათი მან., მედავიონე პოლ. ჯულაყიძემ გვირგვინები, დირებული 5 მ., მნათე ამბაკო ბარათაშვილმა დაფარნები 6 მ., ქვ. ვარდანძისა ელისაბედმა სამირონე კოლოფი, დირებული 5 მ., ქვ. ლორიასამ, მარიამ ი. ასულმა წმ. გიორგის ხატი განდელით 9 მ., თებროლე ს. ჩინლაძის მეუღლამ საცეცხლური, დირ. 4 მ., ი. მ. გულისოვა ორი ხატი—მაცხოვრის და დვთის-მშობლისა, დირ. 10 მ., ს. ი. ნაცვალოვა მაცხოვრის ხატი და ჩარჩო დვთის-მშობლის ხატისათვის, დირ. 4 მან., დიმ. გეგელაშვილმა ანალოგია, დირ. 1 მ., ი. ვერულაშვილმა 1 მ., ან. ყიფიანს ასულმა 1 მ. და ორმოცმა ქალმა, ვარციხის სამრევლოსამ ერთი დიდი ჭადი თავისი სანთლებით, დირებული 34 მ. და ერთიკ გარდამოხსნა, დირებული 25 მ.; სულ 176 მან.

მდ. ერმალოზ გუმბერიძე.

II.

მ. რ! უმოჩილესად გთხოვთ, რომ თქვენი პატივცემული ქურონალი „მწყემსი“-ს საშუალებით გულისთავი მადლობა გამოუცხადოთ ჩემი და ჩემი მრევლის მაგიერ ახალ დაბის წმ. გიორგის ეკლესიის სამრევლოში მაცხოვრებს—გლეხს აღნ. ობოლაძეს, რომელმაც შემოსწირა ხსენებულ ეკლესიას ერთი ფრაქის სანაწილე, დირებული 12 მან. და ქვრივს, გლეხს ან. კუბლაშვილისას—ტუფა გ. ასულისას, რომელმაც შემოსწირა ამავე ეკლესიას ერთი ვერცხლის გასაზავებელი, დირ. 7 მან.

მდ. ი. გაბელაშვილი.



მიიღება ხელის-მოწერა 1901 წლისათვის ორ კვირულ გამოცემათა პარტულს

„მწუყემს“-ზე

დ

რუსულ « П А С Т Ы Р Ь »-ზე

ქუჩნალის ფასი:

- 12 თვით «მწუყემსი» 3 მ. | 6 თვით «მწუყემსი» 2 მ.
- ,, რუსული ,, 3 მ. | — ,, რუსული ,, 2 მ.
- ,, ორივე გამოცემა 5 მ. | — ,, ორივე გამოცემა 3 მ.

ბაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც ვეარალაში, აგრეთვე ქუთაისშიაც. თბილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მ. ლაზარია, ბ. შიო ქუბუკაშვილთან. ფოთში — დეკანოზ მ. გრიგოლ მაჭაროვთან; საჩხერაში — ყრაზნ ჩაიძესთან; ახალციხეში — დეკანოზ დ. ხახუტოვთან; ახალსენაკში — ბლალაოჩინ მახა არისტარქ კალანდარი-შვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა სამ მანეთად. რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში დეისაძის სახლებში და ვეარალაში რედაქტორის საკუთარ სახლებში.

ბაზე შეეძება აგრეთვე ქუჩნალის დაბარება შეუძლიათ ამ აღრესით: Вь Квирилы, вь редакцію газеты и журнала „МЦЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

რედაქციაში მოიპოება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწუყემსი“-სა, რომელნიც ნახევარ ფასად დაეთმობათ მსურველთ.

1901 წლის ხელის მომწერთ პრემიად (საჩუქრად) აქვს დანიშნული დიდი სურათი ყოვლად სამღვდელო ლეონიდისა, იმის მსგავსი, როგორიც არიან შოთა რუსთაველისა და თამარის. ხელის მომწერლებმა უნდა შემოიტანონ ფოსტის ზედ-მეტ ხარჯად ორი შაური. ამ პრემიის გასაგზავნი.

კერძო საავათმყოფო ავგულაბოკრიითურთ
ს. ბ. თოფუკიას.
 ქ. ქუთაისში.

სავათმყოფოში დგას ორმოცი საწოლი. ხირურგიულ, გინეკოლოგიურ და შინაგან სენით ავათმყოფთათვის. მუწუკებიანი და გადამდები სენით ავათმყოფნი არ მიიღებიან. მოსიარულე ავათმყოფნი მიიღებიან ყოველ დღე 11 საათიდან შუადღის 3 საათამდე.

შინაგან და ნერვებით ავათმყოფებს მიიღებს
მ. ს. ბ. თოფუკია.

ქირურგიურ შარდით სიფილისით და თვალების ავათმყოფობისათვის.
მ. ფ. კ. გარკაბი.

დედაგაცურ ავათმყოფთა და საბებიო ქალი.
მ. მ. ფ. კოზანი.

რჩევა დარბების ფასი 50 კ., კონსილიუმის ფასი 3 მ. დღე და ღამე ქირა საავათმყოფოში სრული ხარჯით და ექიმობით 2—3 მანეთამდე. აწერაციის ფასი გარბებზეა. სამკურნალოს დირექტორი **ს. ბ. თოფუკია.**

შ ი ნ ა ა რ ს ი:

საილტვაბატურო განყოფილება: ქუთაისის საკრებულო ტაძარში პანაშვიდის გადახდა განსვენებულის რაფიელ ერისთავის სულის მოსახსენებლად. — იმერეთის ეპარქიის სამღვ. დეპუტ. კრება ქუთაისში 15—22 დეკემბერს. — ჩემი სასიხარულო და სამწუხარო შთაბეჭდილებანი ევროპის სახელმწიფოებში მოგზაურობის დროს. — არიან თუ არა ქართველ-კათოლიკენი? — ახალი ამბები და შენიშვნები.

სწავლა და მაცნეობა ჭრისტიანობაში სარწმუნო. და კეთილ-ჯანმრთელობა: სიტყვა, თქმული ქუთ. საკ. ტაძარში დიდ-მარხვის პირველ კვირიაკის შაბათს, შემდეგ წმ. ზიარების მიღებისა, ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკ. ლეონიდის მიერ. — ხმა მაცხოვრისა ეკკლესიის მწყემსისადმი. — რედაქციის პასუხი. — შეწირულებანი. — განცხადება.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. **დ. ლამბაშიძე.**
 Дозволено цензурою, Тифлисе, 17 Марта 1901 г. ♦ Цензуръ прот. **Е. Елиевъ**
 Типог. редакції журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) вь Кутаисѣ, вь д. А. Дейсидзе на Нѣмецкой ул.

Редакторъ-Издатель **П. Д. Гамбашидзе.**
 1901 г. ♦ Цензуръ прот. **Е. Елиевъ**
 Типог. редакції журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) вь Кутаисѣ, вь д. А. Дейсидзе на Нѣмецкой ул.